სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

57521743065619

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190094657

რეგისტრაციის თარიღი

30.01.2019 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 032 2 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ქალაქი თბილისი, ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაათი იანვარი. მე, ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 18, მომმართა შპს "სამაია 96"-ს (რეგისტრირებული 14.03.1996 წ., იურიდიული მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი № 14, ს/კ: и) დირექტორმა **ავთანდილ ჯაფარიძემ** (დაბადებული 07.03.1954 წელს, პირადი ნომერი: 01010006415, მცხოვრები თბილისში, დელისის ქუჩა 37). მან განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **შპს „გესთს"** (ს/კ: 405245471), შპს "სამაია 96"-ს საქმეების წარმოებაზე. მან მოითხოვა ამასთან დაკავშირებით მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მიმნდობის პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მისი ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწრამეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B19009312. დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. შემდეგ შევადგინე მინდობილობა და მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

დღეს, ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაათ იანვარს, მე, **შპს "სამაია 96"-ს დირექტორი ავთანდილ ჯაფარიძე** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მიმნდობი", უფლებამოსილებას ვანიჭებ **შპს „გესთს"** (ს/კ: 405245471), შემდგომში „მინდობილს", მასზედ, რომ მან აწარმოოს შპს „სამაია 96"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, მდებარე მისამართზე: ***თბილისი, რუსთაველის გამზირი № 14, ს/კ: 01.15.05.046.005.01.533,*** ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსებასთან, ასევე შენობის წინ მაგიდების განთავსებასთან დაკავშირებული საქმეები; წარმოადგინოს ამასთან დაკავშირებით საზოგადოების ინტერესები ქალაქ თბილისის მერიასა და მისდამი დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურაში, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურში, აიღოს შესაბამისი თანხმობები, ნებართვები, მიიღოს და წარადგინოს დოკუმენტები, გადაიხადოს გადასახდელები, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის, სახელით შესაბამის დოკუმენტაციას, და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად; ერთი ინახება სანოტარო არქივში, ორი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B19009312.

გადახდილია საზღაური, `სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის # 507-ე დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად, 10.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 1.80 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 2.00 ლარი, სულ 13.80 ლარი.

მიმნდობი: ავთანდილ ჯაფარიძე

ნოტარიუსი

ნარგიზა ჯანხოთელი